



[www.cse.ge](http://www.cse.ge)

**საინფორმაციო ელექტრონული  
ჟურნალი**

სექტემბერი, 2011 წელი

მოგესალმებით და გვსურს წარმოგიდგინოთ სოციალური მეწარმეობის ცენტრის ახალი ინიციატივა -

**სოციალური მეწარმეობის საინფორმაციო ელექტრონული ჟურნალი**

რომლის მეშვეობითაც დაინტერესებულ საზოგადოებას პერიოდულად მოგაწვდით სიახლეებს სოციალური მეწარმეობის შესახებ.

პირველი ნომერი გაცნობითი ხასიათისაა და მოკლედ წარმოგიდგენთ სოციალური მეწარმეობის ცენტრის საქმიანობას.

- ✓ [სოციალური მეწარმეობის შესახებ](#)
- ✓ [სოციალური მეწარმეობის ცენტრი](#)
- ✓ [სოციალური მეწარმეობის ცენტრი გთავაზობთ](#)
- ✓ [სოციალური მეწარმეობა საქართველოში](#)

## სოციალური მეწარმეობის შესახებ

ბოლო რამდენიმე ათწლეულში მსოფლიოში აქტიურად მკვიდრდება მცნება "სოციალური მეწარმეობა". რაც, ძირითადად, ასოცირდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეკონომიკურ საქმიანობასთან, ეს კი ამ ტიპის ორგანიზაციებს:

- მეტ დამოუკიდებლობას, მოქნილობას და სტაბილურობას სძენს;
- ხელს უწყობს საზოგადოებრივი ორგანიზაციის მისიის სრულად შესრულებასა და გრძელვადიანი მიზნების

## დამატებითი ინფორმაცია

*სოციალური მეწარმეობით დაინტერესებულ ორგანიზაციებს და პირებს სოციალური მეწარმეობის ცენტრი რეგულარულად მიაწვდის მათთვის საინტერესო ინფორმაციას. ყოველ კვარტალში გამოავა "სოციალური მეწარმეობის ელექტრონული ჟურნალი", სადაც*

განხორციელებას.

სოციალური მეწარმეობის მცნების მრავალნაირი განმარტება არსებობს. მათი ფორმულირება განსხვავებულია, თუმცა ყველა მათგანი ერთ მნიშვნელოვან ასპექტს უსვამს ხაზს: **სოციალური საწარმო ეს არის ბიზნესი სოციალური ან გარემოს დაცვითი მისიისათვის.**

სოციალური მეწარმეები ცდილობენ უკეთესობისკენ შეცვალონ გარემო და ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენონ ინოვაციური ხერხები და მიდგომები. ეს გახლავთ ორგანიზაცია, რომელიც იყენებს ბიზნესის მიდგომებს საზოგადოებრივი პრობლემების მოსაგვარებლად. განსხვავებით ჩვეულებრივი, მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული, საწარმოსაგან, სოციალურ საწარმოს აქვს ორმაგი მიზანი: ეკონომიკური და სოციალური, აქედან უმთავრესია სოციალური. ეკონომიკური მიზანი გახლავთ, მხოლოდ სამუშაოება მეორე, უფრო მნიშვნელოვანი - სოციალური მიზნის მისაღწევად. აქედან გამომდინარე, სოციალური საწარმოს მოგება არ იზომება მხოლოდ ფინანსური წარმატებით. გაცილებით მნიშვნელოვანია მისი წვლილი იმ სოციალური ან გარემოსდაცვითი პრობლემის მოგვარებაში, რისთვისაც იგი შეიქმნა.

სოციალურ საწარმოში წამყვანი ადგილი უკავია დასაქმების ფუნქციას, მაგრამ მნიშვნელოვანი თვისება, რაც მას ამ კუთხით განასხვავებს ჩვეულებრივი საწარმოსაგან არის ის, რომ იგი, ძირითადად, ზრუნავს მარგინალური ჯგუფების დასაქმებაზე. ანუ ასაქმებს იმ ადამიანებს, რომლებიც შედარებით ნაკლებად კონკურენტული არიან და ჩვეულებრივ პირობებში დასაქმება უჭირთ.

სოციალური მეწარმეობა დინამიური ბიზნესია, რომლის საბოლოო მიზანია ცვლილებები სოციუმსა და გარემოში. აღნიშნული ორგანიზაციები, ძირითადად, არიან ნოვატორები და ბიზნესის წარმოების ახალ გზებს ქმნიან.

**სოციალური მეწარმეობის ცენტრი**

*გაგაცნობთ, როგორც ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების სოციალური მეწარმეობის კუთხით საქმიანობას, ასევე გაგიზიარებთ უცხო ქვეყნების გამოცდილებას.*

-----

## ელექტრონული გამოცემები

*თუ თქვენ გსურთ, მიიღოთ ჩვენი ელექტრონული გამოცემები, გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ შევსებული კითხვარი მისამართზე: [info@cse.ge](mailto:info@cse.ge)*

-----

## თეორიული ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების მიზნით შეიქმნა ვებ-პორტალი

*2010 წლის დეკემბრიდან ამუშავდა საინფორმაციო-ანალიტიკური ვებ-პორტალი [www.cse.ge](http://www.cse.ge)*

*აღნიშნულ თემატური პორტალზე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ეძლევა მიიღოს საჭირო ინფორმაცია სოციალური მეწარმეობის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე. ვებ-პორტალზე განთავსებულია სფეროში მიმდინარე საინტერესო სიახლეები: ინფორმაცია ტრენინგებზე და საგრანტო კონკურსებზე, კვლევები საქართველოს და უცხოეთის*

2009 წლიდან საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრმა დაიწყო მუშაობა სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით. 2010 წლიდან ორგანიზაციის ბაზაზე ჩამოყალიბდა "სოციალური მეწარმეობის ცენტრი."

**ჩვენი მისიაა:**

სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის გზით ხელი შევუწყობთ საზოგადოებაში დადებით სოციალურ და გარემოსდაცვით ცვლილებებს.

**ჩვენი მიზნებია:**

- სოციალური მეწარმეობის კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობა;
- სოციალური მეწარმეობისთვის საინფორმაციო მომსახურება და ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა;
- სოციალური მეწარმეობის ხელშემწყობი გარემოს განვითარებაზე ზრუნვა.

**სოციალური მეწარმეობის ცენტრი ვთავაზობთ:**

- ადგილობრივი და უცხოური გამოცდილების კვლევებს;
- ტრენინგებსა და კონსულტაციებს სოციალური მეწარმეობის შესახებ;
- საგრანტო კონკურსებს ადგილობრივი სოციალური საწარმოებისათვის;
- ინფორმაციულ უზრუნველყოფას საკითხით დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისათვის.

**სოციალური მეწარმეობა საქართველოში**

**პარტნიორობა**

საქართველოში სოციალური მეწარმეობის საქმიანობის დამკვიდრებისა და პოპულარიზაციის მიზნით 2009 წლიდან "სოციალური მეწარმეობის ცენტრი" აქტიურად

გამოცდილებაზე, საქართველოში სოციალური მეწარმეობით დაკავებული ორგანიზაციების წარმატებული მაგალითები. ვებ-რესურსი საინტერესო და გამოსადეგია, როგორც დამწყები, ასევე გამოცდილი სოციალური მეწარმეებისთვის.

**"ისტორიალის" ახალი კოლექციის პრეზენტაცია**



17 ივლისი, 2011 წელი



ქართული სუფრის აქსესუარები



თანამშრომლობს ბრიტანეთის საბჭოს, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდსა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან. ამ მიმართულებით ოთხივე ორგანიზაცია მჭიდროდ და კოორდინირებულად თანამშრომლობს, რათა ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელი გახდეს უკეთესი შედეგების მიღწევა.

### → ქართული სოციალური საწარმოს წარმატება

ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის ბაზაზე 2000 წელს ჩამოყალიბებული სოციალური საწარმო "ისტორიალის" მიერ არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნიმუშების საფუძველზე შექმნილი ახალი კოლექციის - "ქართული სუფრის აქსესუარების" - პრეზენტაცია 17 ივლისს გაიმართა. კოლექცია წარმოადგენს ქართული სუფრისა და სუფრის აქსესუარების მიმზიდველი დიზაინის მქონე ნივთების ნაკრებს.

"ისტორიალის" ბრენდის ფილოსოფიაა შეინარჩუნოს ნივთის ისტორიული ღირებულება და აქციოს იგი თანამედროვე აქსესუარად. ამიტომ გამოფენაზე წარმოდგენილი თითოეული ნივთის დიზაინი შექმნილია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ისტორიული მემკვიდრეობის ნიმუშების საფუძველზე. პროდუქცია ფუნქციურია და ისტორიულ მნიშვნელობისაც ინარჩუნებს.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მოკლე პერიოდია, რაც ახალი პროდუქციის რეალიზაციის პროცესი დაიწყო, უკვე შეგვიძლია ამ წამოწყების წარმატებაზე ვისაუბროთ. განვლილი ორი თვის მანძილზე რეალიზებული პროდუქციის რაოდენობამ პროგნოზირებად გაყიდვებს უკვე 30%-ით გადააჭარბა. "ისტორიალის" ბრენდით შექმნილი ახალი ნიმუშები დიდი მოწონებით სარგებლობს. კერძოდ, ახალი კოლექციის ნიმუშები მიმზიდველი საჩუქარია, განსაკუთრებით იმ უცხოელი სტუმრებისთვის, რომელთაც სურთ, რომ ქართულ კულტურას გაეცნონ. ნივთები გამოირჩევა დახვეწილი დიზაინით და მაღალი ხარისხით.



ქართული სუფრის აქსესუარები



ბარათის დასადები



დეკორატიული თევში

სოციალურ საწარმო "ისტორიაში" ამჟამად 25-მდე ოსტატი 130-ზე მეტი დასახელების პროდუქტს ქმნის. აღნიშნული საქმიანობით ორგანიზაციის 10%-ით გაზრდილი შემოსავალი ახალი ოსტატების მოზიდვისა და ადგილობრივ ბაზრობებსა თუ გამოფენებში მონაწილეობის შესაძლებლობას ზრდის. მიღებული შემოსავალი კი ორგანიზაციის მიზნებს მოხმარდება.



ხელსახოცი სპირალით

### → ქართული სოციალური საწარმოების ახალი პროექტები

სოციალური საწარმოებისათვის ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისა და Czech Fundraising Center-ის ერთობლივი პროექტის ფარგლებში 2011 წლის ივლისში გამოცხადებული საგრანტო კონკურსის გამარჯვებულები გამოვლინდა. პროექტით გათვალისწინებულია დევნილთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუციური გაძლიერება, უნარ-ჩვევების გაზრდა და შემდგომ მათ მიერ შემუშავებული სოციალური ბიზნეს-პროექტების დაფინანსება. პროექტი მხარდაჭერილია ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის (ჩეხეთის რესპუბლიკის, უნგრეთისა, პოლონეთისა და სლოვაკეთის ერთობლივი ფინანსური რესურსი) და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მიერ.

ზემოაღნიშნული საგრანტო კონკურსის გამარჯვებული არიან:

- ✓ განათლება დემოკრატიისთვის (სენაკი) - პროექტის ფარგლებში სენაკში ჩამოყალიბებულ მეზოცვრეობის მინი-ფერმაში დამწყებ ეტაპზე ექვსი იძულებით გადაადგილებული პირი დასაქმდება. ფერმა დაფუძნდება მსოფლიოში აპრობირებული, მაგრამ საქართველოში ნაკლებად დანერგილი, აქსელერატორული მეზოცვრეობის მეთოდზე, რაც ბოცვრების სწრაფი გამრავლების და პროდუქტის მაღალი ხარისხის გარანტიას იძლევა. დაგეგმილია შემდეგი პროდუქციის წარმოება: ბოცვრის ხორცი, ტყავი, ცხიმი

და ღვიძლი.

აღნიშნული ფერმის თანამშრომლები მებოცვრეობის საკუთარი მინი-ფერმების გახსნაზე კონსულტაციას გაუწევენ სხვა დაინტერესებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებსაც.

- ✓ **შპს თერნალი + (ქუთაისი)** - არასამათვარობო ორგანიზაცია “ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრისა” და ბიზნესის თანამშრომლობაზე დაფუძნებული პროექტი ითვალისწინებს ქუთაისში ჩაის დამფასოებელი სოციალური საწარმოს ჩამოყალიბებას, რომელსაც შპს-ს სტატუსი ექნება და საწყის ეტაპზე ათიდან თხუთმეტამდე იძულებით გადაადგილებული პირი დასაქმდება. აქ მოხდება ნედლეულის სახით მიწოდებული მწვანე და შავი ჩაის დაფასოება, შეფუთვა და რეალიზაცია. ყოველწლიურად რეალიზაციის მაჩვენებლის ზრდის პროპორციულად გაიზრდება დასაქმებულთა რაოდენობაც. ჩაის დამფასოებელი სოციალური საწარმო იძულებით გადაადგილებულ პირებს შესთავაზებს სტაჟირებას, რის შედეგადაც დაინტერესებული პირები შეიძენენ ჩაის ბიზნესთან დაკავშირებულ ცოდნასა და უნარებს.
- ✓ **კოალიცია დევნილთა უფლებებისთვის (თბილისი)** - პროექტი ითვალისწინებს წეროვანში ხალხური რეწვის სახელოსნოს დაარსებას. სოციალური საწარმო პირველ ეტაპზე დაასაქმებს ექვს იძულებით გადაადგილებულ ქალბატონს. სახელოსნოში წარმეობული ნაქსოვი და ნაქარგი ხელნაკეთი პროდუქცია დამზადდება ქართული ტრადიციული მეთოდებით. სახელოსნო მყიდველს ძირითადად ოთხი სახის პროდუქტს შესთავაზებს: მაგიდის გადასაფარებლებს, ხელჩანთებს, ქამრებსა და შარფებს. პროდუქცია გათვლილია როგორც ადილობრივ მომხმარებელზე, ისე ტურისტებზე. ხალხური რეწვის ხელობის დაუფლების მსურველ იძულებით

გადაადგილებულ სხვა პირებს საშუალება მიეცემათ ადგილზე გაირონ სტაჟირება, რის შემდეგაც მათ შესაძლებლობა ექნებათ დასაქმდნენ სხვა სახელოსნოში ან სახლის პირობებში დამოუკიდებლად აწარმოონ პროდუქცია. პროექტს მხარს დაუჭერს ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი "ისტორიალი," რომელიც სოციალურ საწარმოს დაეხმარება ბაზარზე დამკვიდრებასა და რეალიზაციის სტრატეგიის ჩამოყალიბებაში.

✓ ხმის ჩამწერი სტუდია "ჰერა" (თბილისი) - აფხაზეთის უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა კავშირის პროექტის ფარგლებში სოციალური საწარმოს პრინციპებით ამუშავდება ხმის ჩამწერი სტუდია, სადაც დასაქმდებიან უსინათლოები, მ.შ. იძულებით გადაადგილებული პირები. **ხმის ჩამწერ სტუდიაში ჩაიწერება აუდიო წიგნები,** რომელიც გაფორმდება მუსიკალური და სხვა ეფექტებით. აუდიო წიგნები ცნობილ ქართველ მსახიობებთან თანამშრომლობით ჩაიწერება. პროდუქცია მრავალფეროვანი იქნება, კერძოდ შეივსება როგორც კლასიკური ლიტერატურული ნაწარმოებებით, ასევე საბავშვო ზღაპრებით. წიგნების რეალიზება დაგეგმილია წიგნების, სუვენირების, აეროპორტებისა და რკინიგზის მაღაზიებში. დისკების რეალიზაციიდან შემოსული თანხა მოხმარდება სტუდიის შემდგომ გაძლიებას და არასამთავრობო ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებს.

❖ თუ თქვენ აღარ გსურთ მიიღოთ [სოციალური მეწარმეობის ელექტრონული ჟურნალის](#) შემდეგი გამოცემები, გამოავიწყდეთ "გამოწერის გაუქმება" შემდეგ მისამართზე: [info@cse.ge](mailto:info@cse.ge)

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით >>>



ყველა საავტორო უფლება დაცულია და ეკუთვნის ”საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრს”